GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 115
თარიღი: 8 05 2015 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

MINISTRY OF CORRECTIONS OF GEORGIA

MCLA 7 15 00334637

24/04/2015

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორის მოადგილეს,
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მიღებული 2015 წლის 16 აპრილის N314313 წერილით მოთხოვნილ ინფორმაციას კითხვარის მიხედვით:
1. 2015 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილის ჩათვლით, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფმა 138 მსჯავრდებულმა განაცხადა უარი მისი შუამდგომლობის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოებში, გადმოგზავნასა და განხილვაზე.
ხოლო რაც შეეხება 2014 წლის პერიოდს, მსგავსი შემთხვევების რაოდენობა დაახლოებით შეადგენს ორასამდე მსჯავრდებულს. აღნიშნულ ფაქტებზე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლების მიერ შედგენილი იქნა სათანადო დოკუმენტაცია (ოქმი) და გადმოგზავნილი იქნა ადგილობრივ საბჭოში.
2. იმ მსჯავრდებულთაგან, რომლებმაც პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარი განაცხადეს 2014-2015 წელს, უმეტესობა მკურნალობდა სხვადასხვა დაავადებებზე (ონკოლოგიური, ჰეპატიტები, ნევროლოგიური, გულ-სისხლძარღვთა სისტემები, ძვალსახსროვანი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ პატიმართაგან, უმრავლესობა, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამაში იყო ჩართული.

პატივისცემით,

ნანა ბღარაშვილი
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი